საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/38 " 16 " მაისი 202 5

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირთა კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ

1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, კანდიდატად დარეგისტრირდნენ „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურის დაწყების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 10 აპრილის №1/35 განკარგულების ფარგლებში მიმდინარე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე შემდეგი პირები:

ა) აბაშიძე ივერი;
ბ) ალფაიძე თამარ;
გ) კაჟაშვილი ლიანა;
დ) ნემსაძე ლევან;
ე) შავაძე პაატა;
ვ) ჯინჯოლია მიხეილ.

2. არ იქნეს კანდიდატად დარეგისტრირებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირი ლევან კოკორაშვილი - „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 6 მაისის №1/41 გადაწყვეტილების (საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილების დანართი 27) დანართი 1-ით განსაზღვრული დოკუმენტის - ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო დასკვნის (ფორმა 100) წარმოუდგენლობის გამო.

3. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში, გადაწყვეტილების იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი